შეტევას ცვლიდა შეტევა

მოსკოვი. ვ.ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 8 აგვისტო.

”სპარტაკი” (მოსკოვი) – ”დინამო” (თბილისი) 3:1 (2:1).

”სპარტაკი”: დასაევი, სოჩნოვი, მირზოიანი, შვეცოვი (სამოხინი), რომანცევი, შავლო, კალაშნიკოვი, გესი, გავრილოვი, ჩერენკოვი, როდიონოვი.

”დინამო”: მჭედლიძე (გაბელია), სულაქველიძე, ხიზანიშვილი, ხინჩაგაშვილი (ანდღულაძე), თავაძე, დარასელია, სვანაძე, კაკილაშვილი, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

მსაჯი: გ. გალიკოვი (ლენინგრადი).

გააფრთხილეს შენგელია, დარასელია.

დუბლიორები 3:1. თბილისელთაგან ბურთი გაიტანა ჟვანიამ.

ამ მატჩისთვის ფაქტიური განსხვავება მოსკოვის ”სპარტაკსა” და თბილისის ”დინამოს” შორის ქულებში დიდი არ იყო. სპარტაკელთა აქტივი 31 ქულას შეადგენდა 22 თამაშის შემდეგ, ხოლო თბილისის დინამოელებმა 27 ქულა დააგროვეს 21 მატჩის შემდეგ, ე.ი. გამარჯვების შემთხვევაში თბილისელები უთანაბრდებოდნენ მოსკოველებს, ეს კი დიდად ამწვავებდა ბრძოლას მეორე ადგილისთვის.

ორივე მეტოქე ბოლო ხანებში აღმავლობის გზაზეა. თბილისელებს უკვე 10 მატჩი ჰქონდათ წარმატებით ჩატარებული, ხოლო სპარტაკელებმა ზედიზედ მოიგეს 4 კალენდარული შეხვედრა. ამასთან მოწინააღმდეგეთა კარში 17 ბურთი გაიტანეს.

ყოველივე ამის გამო მატჩმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია მაყურებელთა შორის, მას 100 ათასამდე კაცი ესწრებოდა.

დასაწყისი ერთობ მოულოდნელი გამოდგა: პირველივე წუთზე სტუმრების კართან დაინიშნა კუთხური, მცველებმა წამით უყურადღებოდ დატოვეს გავრილოვი, დაიგვიანა მეკარე მჭედლიძემაც და ბურთი დინამოელთა კარის ბადეში აღმოჩნდა. – 1:0.

მე-10 წუთისთვის ანგარიში გათანაბრდა - ფლანგიდან მოწოდებულ გადაცემაზე ყველას დაასწრო შენგელიამ და თავით გაგზავნა ბურთი ”სპარტაკის” კარში - 1:1.

კიდევ სამიოდე წუთის შემდეგ მოსკოველთა შეტევაში სწრაფად ჩაერთო მინდვრის სიღრმიდან წინ გამოსული შვეცოვი და მისი ძლიერი დარტყმის შემდეგ ანგარიში გახდა 2:1.

დინამოელები ტაიმის დამთავრებამდე ენერგიულად უტევდნენ, ყიფიანის ზუსტი გადაცემების შემდეგ სახიფათო მომენტები შექმნეს გუცაევმა, დარასელიამ, შენგელიამ, საპასუხო იერიშები ჰქონდათ კალაშნიკოვს, როდიონოვს, მაგრამ მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა გაბელია, რომელმაც მჭედლიძე შეცვალა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა დაკარგა შენგელიამ, რამდენიმეჯერ თავგანწირვით ითამაშა სპარტაკელთა მეკარემ დასაევმა, კერძოდ, იხსნა თავისი გუნდი შენგელიას გარღვევის შემდეგ.

თბილისელები განუწყვეტლივ უტევდნენ, მაგრამ 67-ე წუთზე ”სპარტაკმა” მარჯვენა ფლანგიდან მოაწოდა კუთხური, დინამოელთა მცველები კვლავ შეცდნენ და როდიონოვმა ახლო მანძილიდან შეუფერხებლად გაიტანა გოლი - 3:1.

დარჩენილ დროში ბრძოლა არ დამცხრალა, ჯერ უტევდნენ თბილისელები, შემდეგ, უკვე ბოლო წუთებზე, მოსკოველები, მაგრამ ცვლილება ანგარიშში აღარ მომხდარა.

ბ. ქორიძე.
”ლელო”, 9 აგვისტო 1981 წ.